8	ლია ჟღენტი თამთა კიკვაძე	ჩოხატაური, წიფნარის საჯარო სკოლა	გამოგონება სოფელს ბილაინის ტელეფონები	თბილის ნაყოფების ნიადაგის ზედაპირიდან ამკრეფი და შემგროვებელი მოწყობილობა
9	გიორგი ჯანაშვილი	ქ.ახალციხის №6 საჯარო სკოლა	გამოგონება სოფელს ბილაინის	მარცვლეულის მექანიკური ხელით სათესი აპარატი

			ტელეფონები	
10	საბა ფერაძე	შპს მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრ-კომპლექსი „გონი“	გადაარჩინე ადამიანის სიცოცხლე ქუთაისის მერია 1 000 ლარი	ჯავშანჭილეტი
11	ირაკლი ომაძე	ქ.გორის №6 საჯარო სკოლა	გადაარჩინე ადამიანის სიცოცხლე ბილაინის ტელეფონები	უნივერსალი
12	გიორგი მაისურაძე	ქ. ახმეტის N1 საჯარო სკოლა	ხელმარჯვე ონსტრუქტორი კახეთის გუბერნია 1500 ლარი	„დამუშავებული მუყაოსსაგან,, აწყობილი უპილოტო თვითმფრინავი
13	თორნიკე კოლოტაური ნინო ხელაშვილი	ქ. თბილისის № 210 საჯარო სკოლა	ყველაზე სახალისო გამოგონება ბილაინის ტელეფონები	მუსიკალური ხელთათმანი

საერთაშორისო სასკოლო ოლიმპიადები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო რამდენიმე წელია ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებათა მოსწავლეებისათვის წარმატებით ატარებს ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადას. . ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეებისთვის 2012 წელს რიგით მესამეჯერ შეირჩა საქართველოს ნაკრები გუნდები საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობის საქართველოს ნაკრები გუნდების შერჩევის, მომზადებისა და მონაწილეობის ადმინისტრირება განახორციელა შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა. 2012 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებზე საქართველომ წარადგინა დელეგაცია შემდეგ დისციპლინებში: ფიზიკა, მათემატიკა, ინფორმატიკა და ბიოლოგია.

ა) ფიზიკაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარსდგა ფიზიკის 43-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე, IPHO 2012 (ესტონეთი, ტალინი, 15-24 ივლისი), გუნდის წევრთა რაოდენობა განისაზღვრა 5 მოსწავლით;

ბ) მათემატიკაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარსდგა მათემატიკის 53-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე IMO 2012 (არგენტინა, მარდელპლატა, 4-16 ივლისი), გუნდის წევრთა რაოდენობა განისაზღვრა 6 მოსწავლით;

გ) ინფორმატიკაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარსდგა ინფორმატიკის 24-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე IOI 2012 (იტალია, სირმიონემონტიჩიარი, 23-30 სექტემბერი) გუნდის წევრთა რაოდენობა განისაზღვრა 4 მოსწავლით;

დ) ბიოლოგიაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარსდგა ბიოლოგიის 23-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე IBO 2012 (სინგაპური, 8-15 ივლისი) გუნდის წევრთა რაოდენობა განისაზღვრა 4 მოსწავლით;

საქართველოს ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატები შეირჩა 2012 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურის შედეგების საფუძველზე, რომლის შემდეგაც ივლისსა და სექტემბერში საერთაშორისო ოლიმპიადების ნაკრები გუნდების შემადგენლობები ეტაპობრივად გაემგზავრნენ საერთაშორისო ოლიმპიადებზე. საბოლოოდ ნაკრებმა გუნდებმა მიიღეს შემდეგი ჯილდოები:

ფიზიკის გუნდში დაჯილდოვდა ნაკრების ხუთი წევრი:

- ჯემალ შენგელია - ბრინჯაოს მედალი;
- გიორგი კობახიძე - ბრინჯაოს მედალი;
- სერგი ჩალაური - ბრინჯაოს მედალი;

- საბა ხარაბაძე - ბრინჯაოს მედალი;
- სანდრო მალუძე - საპატიო სიგელი.

მათემატიკის გუნდში დაჯილდოვდა ნაკრების ოთხი წევრი:

- გიორგი გონაშვილი - ბრინჯაოს მედალი;
- აკაკი მარგველაშვილი - საპატიო სიგელი;
- გელა მაღალთაძე - საპატიო სიგელი;
- თორნიკე მანძულაშვილი - საპატიო სიგელი.

ინფორმატიკის გუნდში დაჯილდოვდა ნაკრების ორი წევრი:

- ჯიმშერ სხირტლაძე - ბრინჯაოს მედალი;
- ნიკოლოზ სვანიძე - ბრინჯაოს მედალი.

ბიოლოგიის გუნდში დაჯილდოვდა ნაკრების ერთი წევრი:

- გურამ ლობჯანიძე - საპატიო სიგელი.

2012 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საქმიანობა საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით

საერთაშორისო თანამშრომლობა ხორციელდება სამი ძირითადი მიმართულებით:

1. ერთობლივი საერთაშორისო საგრანტო პროგრამების ორგანიზება;
2. ფონდის მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში;
3. საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება და ხელშეწყობა;

ერთობლივი საერთაშორისო საგრანტო პროგრამების ორგანიზება

საგრანტო პროგრამები ხორციელდება ფონდის და მისი უცხოელი პარტნიორი ორგანიზაციების თანადაფინანსებით.

ერთობლივი საერთაშორისო საგრანტო პროგრამებია:

1. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და უკრაინაში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის (STCU) "მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამა". პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად ცხადდება ერთობლივი საგრანტო კონკურსი.

პროგრამის თემატური პრიორიტეტებია:

- ა) ბიოტექნოლოგიები და მეცნიერებები სიცოცხლის შესახებ;
- ბ) ნანოტექნოლოგიები და ახალი მასალები;
- გ) საინფორმაციო ტექნოლოგიები.

პროგრამის ფარგლებში 2012 წელს სრულდებოდა 11 სამეცნიერო პროექტი საერთო ბიუჯეტით დაახლოებით 1,3 მილიონი ლარი, საიდანაც 50%-ს ფარავს STCU.

2. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF-Global), „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამეწარმეო პროგრამა (STEP) – "იდეიდან ბაზრისკენ". პროგრამის ფარგლებში 2012 წელს გამოცხადდა ერთობლივი საგრანტო კონკურსი.

კონკურსში მონაწილეობდა 35 საპროექტო წინადადება, რომელთაგან ქართველ და ამერიკელ ექსპერტთა მიერ შეირჩა 10 საპროექტო წინადადება საინოვაციო ფორუმზე აშშ-ს და ქართველ ექსპერტთა მიერ შემდგარი კომისიის წინაშე განხილვისთვის. დაფინანსდა 1 წლის ხანგრძლივობის 4 პროექტი.

პროექტებზე გამოყოფილი საერთო ბიუჯეტი შეადგენს დაახლოებით 160 000 ლარს, საიდანაც 25%-ს ფარავს CRDF-Global.

პროგრამა მოიცავს ყველა სამეცნიერო მიმართულებას.

3. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის (CNRS) "საერთაშორისო გაცვლითი პროგრამა". პროგრამის ფარგლებში ორ წელიწადში ერთხელ ცხადდება ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი.

პროგრამის თემატური პრიორიტეტებია:

- ა) მათემატიკა
- ბ) ფიზიკა
- გ) სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები

პროგრამის ფარგლებში 2012 წელს სრულდებოდა 3 სამეცნიერო პროექტი. თითოეული მხარე აფინანსებს საკუთარი ქვეყნის მეცნიერთა ჯგუფს. ქართველ მეცნიერებზე ფონდის მიერ გამოყოფილი საერთო თანხა მთლიანობაში შეადგენს დაახლოებით 130000 ლარს.

4. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) "საერთაშორისო გაცვლითი პროგრამა". პროგრამის ფარგლებში ორ წელიწადში ერთხელ ცხადდება ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი. პროგრამა მოიცავს ყველა სამეცნიერო მიმართულებას.

პროგრამის ფარგლებში 2012 წელს ხორციელდებოდა 5 სამეცნიერო პროექტი. თითოეული მხარე აფინანსებს საკუთარი ქვეყნის მეცნიერთა ჯგუფს. ქართველ მეცნიერებზე ფონდის მიერ გამოყოფილი საერთო თანხა მთლიანობაში შეადგენს დაახლოებით 35000 ლარს.

5. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის - Forschungszentrum Jülich (JÜLICH) ერთობლივი „კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამა“. 2012 წელს პროგრამის ფარგლებში გამოცხადდა პირველი საგრანტო კონკურსი.

პროგრამის თემატური პრიორიტეტებია:

- ა) მათემატიკური მეცნიერებები;
- ბ) საინფორმაციო ტექნოლოგიები;
- გ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
- დ) საინჟინრო მეცნიერებები
- ე) სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები.

2012 წლის ერთობლივ კონკურსში მონაწილეობდა ქართველი დოქტორანტებისა და მაგისტრანტების სულ 11 საპროექტო წინადადება. მათგან დაფინანსდა 3 დოქტორანტისა და 2 მაგისტრანტის პროექტი. იულიხის კვლევით ცენტრში დოქტორანტების გრანტით დაფინანსებული სტაჟირების ხანგრძლივობა შეადგენს მაქსიმუმ 3 წელს, ხოლო მაგისტრანტებისთვის - სასწავლო გეგმასთან შესაბამისობით - 6 თვეს ან ერთ წელს.

ფონდის მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში

2012 წლის განმავლობაში ფონდი ჩართული იყო ევროკავშირის კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების მე-7 ჩარჩო პროგრამის (FP7) ფარგლებში მიმდინარე 4 პროექტში.

1. **“შავი ზღვის რეგიონში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში კავშირების დამყარება” (BS-ERA.NET).** 2012 წლისთვის ფონდმა გრანტის სახით მიიღო 43544.29 ევრო.

პროექტის მიზანია შავი ზღვის აუზის ქვეყნების სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის ამაღლება. ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: 1) ერთობლივი კონკურსების ორგანიზება; 2) რეგიონის სამეცნიერო პროგრამის მომზადება; 3) რეგიონის ქვეყნების სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის საერთო ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა; პროექტში მონაწილეობს 12 ქვეყნის (მათ შორის ევროკავშირის 5 წევრი სახელმწიფოს) 17 ორგანიზაცია.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წარმომადგენელი დაესწრო 2012 წლის 11-12 დეკემბერს ბუქარესტში (რუმინეთი) ჩატარებულ შემაჯამებელ კონფერენციას, სადაც განხილული იქნა პროექტში შესრულებული სამუშაოების შედეგები და მომავალში შავი ზღვის კვლევითი პროგრამის (BSRP) განხორციელების შესაძლებლობა.

2. **“აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში” (IncoNet EECA).** 2012 წლისთვის ფონდმა გრანტის სახით მიიღო 70364 ევრო.

პროექტის მიზანია აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნების (EECA) ევროპის კვლევით სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობა. ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: EECA-სა და ევროკავშირს შორის სამეცნიერო თანამშრომლობის ჩარჩოების დადგენა და მისი გაძლიერებისთვის არსებული შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენება. პროექტში მონაწილეობს 21 ქვეყნის (მათ შორის ევროკავშირის 10 წევრი სახელმწიფოს) 23 ორგანიზაცია.

ფონდის მიერ ნომინირებული ორი წარმომადგენელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტიდან მონაწილეობდა პროექტის ფარგლებში 2012 წლის 25-26 აპრილს კიევში (უკრაინა) გამართულ კონფერენციაში “Policy Stakeholders Conference: EU-EECA Cooperation in the Innovation Sector”.

ფონდის მიერ ნომინირებული ორი წარმომადგენელი ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდან და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან 2012 წლის 11-12 ივნისს იმყოფებოდა ბუქარესტში (რუმინეთი) პროექტის ფარგლებში ჩატარებულ სემინარზე “ EU-EECA-ს პოლიტიკის მიდგომები გლობალურ გამოწვევებთან ჯანდაცვაში, ენერგეტიკასა და გარემოს დაცვაში”.

3. “ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში” (IncoNet CA/SC). 2012 წლისთვის ფონდმა გრანტის სახით მიიღო 33364 ევრო.

პროექტის მიზანია სამეცნიერო თანამშრომლობის გაძლიერება ევროკავშირს, ცენტრალური აზიის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის. ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: 1) სამეცნიერო თანამშრომლობისათვის პრიორიტეტული სფეროების დადგენა; 2) საინოვაციო საქმიანობის მხრდაჭერა და მცირე/საშუალო სიმძლავრის საწარმოების მეცნიერებასთან კოოპერირების წახალისება; პროექტში მონაწილეობს 9 ქვეყნის (მათ შორის ევროკავშირის 5 წევრი სახელმწიფოს) 31 ორგანიზაცია.

პროექტის ფარგლებში 2012 წლის 28-29 მაისს ფონდმა ჩაატარა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების და მოლდოვას მე-7 ჩარჩო პროგრამის (FP7) ეროვნული საკონტაქტო პირების (NCP) სემინარი/ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 3 ევროპელმა ექსპერტმა, 8 მოწვეულმა მსმენელმა და 7 ადგილობრივმა საკონტაქტო პირმა.

პროექტის ფარგლებშივე ფონდის მიერ ორგანიზებული იყო საერთაშორისო კონფერენცია თემაზე “ევროკავშირის, ცენტრალური აზიის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების თანამშრომლობა მეცნიერების, ტექნოლოგიების განვითარების და ინოვაციების სფეროში საზოგადოებრივი გამოწვევების საპასუხოდ: პრიორიტეტები, ნაირსახეობა და სინერჯია პოლიტიკასა და საშუალებებს შორის”.

კონფერენცია გაიმართა 2012 წლის 14-15 ნოემბერს ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მასში მონაწილეობა მიიღო 100-მდე საერთაშორისო ექსპერტმა და მეცნიერმა, მათ შორის დაახლოებით 70-მდე უცხოელმა სტუმარმა ევროპის, ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნიებიდან.

4. “გაერთიანებული ევროპისთვის ზღვის კვლევების სტრატეგიის და პროგრამების შემუშავებისკენ” (SEAS-ERA.NET). 2012 წლისთვის ფონდმა გრანტის სახით მიიღო 8119 ევრო.

პროექტის მიზანია ევროპის ზღვების კვლევასთან დაკავშირებული სამეცნიერო პროგრამების კოორდინაციისათვის საფუძვლის მომზადება. ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: 1) ერთობლივი კვლევითი პროგრამების/სტრატეგიის შექმნისა და ამოქმედების ხელშეწყობა; 2) ევროპის ზღვების კვლევის ინფრასტრუქტურის და ადამიანური რესურსების ეფექტიანი

გამოყენება; პროექტში მონაწილეობს 19 ქვეყნის (მათ შორის ევროკავშირის 5 წევრი სახელმწიფოს) 22 ორგანიზაცია.

მიმდინარეობს შავი ზღვის აუზის კვლევის საერთო პროგრამის მომზადება; ზღვის კვლევასთან დაკავშირებული არსებული სამეცნიერო ინფრასტრუქტურის აღწერა და მისი ერთობლივი გამოყენების შესაძლებლობების დადგენა. ასევე განიხილება ერთობლივი დაფინანსებით სამეცნიერო პროექტების რეგიონალური კონკურსის ორგანიზების შესაძლებლობა.

საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება და ხელშეწყობა

საინფორმაციო-საკონსულტაციო დახმარება

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი უწევს საინფორმაციო-საკონსულტაციო დახმარებას ქართველ მეცნიერებს საერთაშორისო პროგრამებში მათ შესაძლო მონაწილეობასთან დაკავშირებით. ამგვარმა საქმიანობამ 2012 წელს მოიცვა ისეთი პროგრამები, როგორცაა: 1) ნატოს პროგრამა "მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის"; 2) ევროკავშირის კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების მე-7 ჩარჩო პროგრამა; 3) მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში გლობალურ საკითხებზე თანამშრომლობის განვითარების პროგრამა (SATREPS).

ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

ნატო: ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის მომზადდა ორი (ექვსთვიანი) ანგარიში, რომელიც ეხება NATO-ს წლიურ ეროვნულ პროგრამაში (ANP) საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებებს თემაზე: "თანამშრომლობა სამეცნიერო საკითხებზე".

ევროკავშირი: ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის მომზადდა ორი (ექვსთვიანი) ანგარიში, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის (ENPAP) ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

საანგარიშო წლის განმავლობაში ფონდმა მასპინძლობა გაუწია 20-ზე მეტ სხვადასხვა საერთაშორისო დელეგაციასა და ექსპერტთა ჯგუფს. შეხვედრებზე განხილული იყო არსებული

თანამშრომლობის გაფართოების და ახალი ინიციატივების რეალიზაციის გზები. დაისახა ერთობლივი საქმიანობის შესაძლებლობები.




2012 წლის 3 დეკემბერს რუსთაველის ფონდმა და აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდმა (CRDF – Global) ჩაატარეს ვენჩურული კონფერენცია სასტუმრო "Holiday Inn"-ში სახელწოდებით „იდეიდან ბაზრისაკენ 2012“.

ფინანსური ანგარიში


რუსთაველის ფონდი ფინანსდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის გამოყოფილი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებით. 2012 წელს ფონდის მთელი ბიუჯეტის 90.84 % სამეცნიერო პროგრამებზე დაიხარჯა, დანარჩენი 9.16 % კი - ფონდის აპარატზე.

ფონდის ბიუჯეტი 2012 წელს.

ფონდის ბიუჯეტი - 13 413 177 ლარი



ფონდის პროგრამები და გრანტები - 2012 წლის პრიორიტეტების ბიუჯეტი - 3 533 844 ლარი



მოვლენები და ფაქტები



2012-01-13 საახალწლო საჩუქრები მრავალშვილიან მეცნიერს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი მრავალშვილიან მეცნიერს, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორს ნიკოლოზ მარგიანს ესტუმრნენ და ძველი ახალი წელი მიულოცეს.



2012-01-28 საქართველოში ამინდის კლიმატური კალენდარი შეიქმნა

ქართველმა მეცნიერებმა საქართველოს კლიმატური პირობების წინასწარ დადგენის ახალი მეთოდი შეიმუშავეს და ცალკეული რაიონების ამინდის კლიმატური კალენდარი შექმნეს. სამეცნიერო კვლევა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტოს დაფინანსებით სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის ფარგლებში განხორციელდა.

მეცნიერებმა შეისწავლეს საქართველოს კლიმატის დღემდე არსებული 150-წლიანი ფაქტიური მასალები, როგორც გეოგრაფიული ასპექტების, ასევე გარემოზე ადამიანის გავლენის გათვალისწინებით და შექმნეს არსებული საუკუნოვანი მონაცემების ელექტრონული ბაზა. კვლევის შედეგების გათვალისწინებით დადგინდა საქართველოში ყოველდღიური საშუალო კლიმატური მახასიათებლები, როგორცაა ტემპერატურა, ნალექიანობა, ტენიანობა.



2012-02-04 ქართველმა მეცნიერებმა კომპიუტერზე ბეჭდვის გამარტივებული პროგრამა შექმნეს

ქართველმა მეცნიერებმა სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის ქართულ ენაზე საბეჭდი სიტყვების მოკარნახე პროგრამა შექმნეს. კომპიუტერული სუფლიორი არის მოკარნახე პროგრამა, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს სასურველი სიტყვის დასაბეჭდად კლავიატურაზე იმავე სიტყვის მხოლოდ საწყისი ასოები აკრიფოს და ნაკლები ძალისხმევით გაიმარტივოს წერის პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა განკუთვნილი და განსაკუთრებით გამოყენებადია სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის, ის ასევე რეკომენდირებული და მოსახერხებელია

სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისთვისაც, რომლებიც საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე მუდმივად იყენებენ სპეციალურ ლექსიკას.



2012-03-06 ქართველმა მეცნიერებმა სპაზმური ხველის საწინააღმდეგო პრეპარატი შექმნეს

ქართველმა მეცნიერებმა ენდემური მცენარე, კავკასიური სურო შეისწავლეს და სპაზმური ხველის საწინააღმდეგო პრეპარატი შექმნეს. მეცნიერთა მიერ შექმნილი ახალი პრეპარატი ყველა ასაკობრივი კატეგორიისთვისაა განკუთვნილი. ბავშვებისთვის წამალი სპეციალურად სიროფის, ხოლო მოზრდილებისთვის აბების სახით მზადდება. კავკასიური სუროსგან შექმნილი პრეპარატი სპაზმური, ასთმური ხველისა და ბრონქიტის დროს გამოიყენება. კვლევის შედეგებს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი სულხან სისაური და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი



2012-03-07 აგრარული უნივერსიტეტის მეცნიერები სუფრის ღვინის შენახვის ახალ ტექნოლოგიაზე მუშაობენ

აგრარული უნივერსიტეტის მეცნიერები სუფრის ღვინის შენახვის ახალ ტექნოლოგიაზე მუშაობენ. სამეცნიერო პროექტის მიზანი ღვინის დამზადების ბიოტექნოლოგიურ პროცესებში ტოქსიკური მოქმედების ნივთიერების ბუნებრივი ანტისეპტიკით ჩანაცვლებაა. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარებისთვის, მეორე მხრივ კი, ღვინის პროდუქციის დამამზადებელი მეწარმეებისთვის. მიმდინარე კვლევით საქმიანობას საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორი ლაშა გოცირიძე და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი სულხან სისაური გაეცნენ.



2012-03-08 სულხან სისაურმა ფილოლოგიის დოქტორსა და ახალბედა დედას 8 მარტი მიულოცა

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულხან სისაურმა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ხელმძღვანელს, ფილოლოგიის

მეცნიერებათა დოქტორსა და ახალბედა დედას, ლალი ეზუგბაიას ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცა.



2012-03-17 საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება

2012 წლის 17 მარტს რომეულდო დელ ბიანკოს ფონდთან (იტალია) დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილემ თინათინ ბოჭორიშვილმა ექსპერტთა მეთხუთმეტე სემინარზე წარმოადგინა მოხსენება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საქმიანობის შესახებ:

„ინტერკულტურული დიალოგი და მეცნიერების განვითარება“.

ლონისძიების მიზანი იყო საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საქმიანობის გაცნობა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისათვის.



2012-04-01 ქართველმა მეცნიერებმა სალი შენადნობის მიღების ახალი ტექნოლოგია შეიმუშავეს

ქართველმა მეცნიერებმა ნანოტექნოლოგიების გამოყენებით ლითონშენადნობის სრულიად ახალი სახეობა შექმნეს. კვლევის შედეგებს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი სულხან სისაური გაეცნო და ადგილზე ჩატარებულ ექსპერიმენტშიც მიიღო მონაწილეობა. მეცნიერთა ჯგუფმა ახალი საწარმოო ტექნოლოგია შეიმუშავა და ნანოკრისტალური ფხვნილისგან სალი შენადნობი შექმნა. ლითონის ახალი სახეობა გაუმჯობესებული თვისებებით ხასიათდება და მაღალი სიმტკიცითა და სიმყარით გამოირჩევა. პროექტის ფარგლებში მეცნიერებმა სალი შენადნობის დასამზადებლად საჭირო მაღალეფექტური მიკროტალღური ღუმელიც დაამზადეს. მკვლევრების ვარაუდით, ლითონის ეს სახეობა შესაძლოა დაინერგოს და გამოყენებულ იქნას საინჟინრო დარგებში.



2012-04-10 მეცნიერებმა ქართული მოსაპირკეთებელი ქვის პოტენციალი შეისწავლეს

ქართველმა მეცნიერებმა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა სახის ბუნებრივი ქვის პოტენციალი შეისწავლეს. სამეცნიერო კვლევის შედეგებს გაეცნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი. მეცნიერები ქართულ ქვას მცირე რადიაციით ახასიათებენ და აცხადებენ, რომ ის საუკეთესო დეკორატიული და კარგი ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით გამოირჩევა. სამი წლის განმავლობაში მეცნიერებმა მოიძიეს და აღრიცხეს ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული მინერალური ნედლეულის 110 საბადო, ლაბორატორიულად შეისწავლეს თითოეული ქვის ქიმიური შემადგენლობა და შექმნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა.



2012-04-26 საქართველოს ახალი ლანდშაფტური რუკა

ქართველმა მეცნიერებმა საქართველოს ახალი ლანდშაფტური რუკები შექმნეს. სამეცნიერო პროექტი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით საგრანტო კონკურსის ფარგლებში განხორციელდა. რუკების პრეზენტაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. საქართველოსა და მისი რეგიონების დეტალური რუკები და შესაბამის მონაცემთა ბანკი მსოფლიოში აპრობირებული, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით შეიქმნა. მეცნიერების განცხადებით, ასეთი მასშტაბის, სიზუსტისა და დეტალურობის მქონე რუკა დღემდე შედგენილი არ ყოფილა. რუკებზე მოცემულია ინფორმაციები მდებარეობის, რელიეფის, გეოდინამიური პროცესების, ნიადაგის, ლანდშაფტის სტრუქტურის, ატმოსფერული ნალექების, მცენარეული საფარისა და ტყის ტიპის შესახებ.



2012-04-30 მედეას ქვეყნის მცენარეების სამკურნალო თვისებები

მეცნიერებმა ქართული ტრადიციული საკვები მცენარეების სამკურნალო თვისებები შეიწავლეს. მკვლევრებმა ციტრუსების, ქართული წითელი ყურძნის ექსტრაქტის და ქართული ხორცის სანელებლების შესახებ ჩატარებული კვლევების შედეგები "თბილისი მარიოტში" გამართულ კონფერენციაზე წარმოადგინეს. სამივე სამეცნიერო პროექტი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსების ფარგლებში დაფინანსდა.



**2012-05-17 ქართული მართლმადიდებლური ტაძრების
სამგანზომილებიანი კომპიუტერული პროგრამა**

ქართველმა მეცნიერებმა ქართული მართლმადიდებლური ტაძრების სამგანზომილებიანი კომპიუტერული პროგრამა შექმნეს. პროგრამა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა. სამეცნიერო პროექტის "ლაზარეს" პრეზენტაცია სამების ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა. სამწლიანი პროექტის ფარგლებში მეცნიერებმა ქართული ხუროთმოძღვრების 9 უმნიშვნელოვანესი ტაძარი სამგანზომილებიან პანორამულ სივრცეში გადაიტანეს. ნებისმიერ მსურველს კომპიუტერის საშუალებით შეუძლია სვეტიცხოვლის, ალავერდის, ბაგრატის, დავით გარეჯის, შიო მღვიმის, ჯვრის მონასტრის, გელათის, ანანურისა და ბოლნისის სიონის ტაძრის დეტალური დათვალიერება. კომპიუტერულ პროგრამაში ზედმიწევნითაა დაცული ტაძრებისა და სამონასტრო კომპლექსების გეოგრაფიული მდებარეობა და გეომეტრიული ზომები. ვიზუალურ მასალას თან ერთვის ქართული საგალობლები და ისტორიული ცნობები. პროგრამა გადატანილია კომპაქტ-დისკებზეც.



**2012-05-25 საქართველოს სკოლებში ჭადრაკის სწავლების კომპიუტერული
პროგრამა დაინერგა**

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულხან სისაურმა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ჭადრაკში გარი კასპაროვმა მემორანდუმს მოაწერეს ხელი. ხელმოწერას განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე დაესწრნენ. მემორანდუმი მოზარდთა შორის ჭადრაკის პოპულარიზაციასა და საქართველოს სკოლებში პროგრამის - KCFE დანერგვას ითვალისწინებს. პროგრამა კომპიუტერულია და მის შექმნაზე კასპაროვთან ერთად, ევროპის საჭადრაკო ლიგაც მუშაობდა. საქართველო პირველი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც ეს მეთოდი დაინერგება და იგი ჭადრაკის პოპულარიზაციის გარდა, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასაც შეუწყობს ხელს.



2012-06-05 ვინ და როგორ ქმნიდა შუა საუკუნეების ქართულ არქიტექტურას

ქართველ მეცნიერთა კვლევითი ნაშრომისა და ილუსტრირებული გამოცემის - "ხუროთმოძღვრები და მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში" პრეზენტაცია გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულ ცენტრში გაიმართა. სამეცნიერო პროექტი შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა კონკურსის ფარგლებში დააფინანსა. ორი წლის განმავლობაში ქართველ მეცნიერთა ჯგუფი შუა საუკუნეების ქართულ სამშენებლო ხელოვნებას, მშენებელთა საზოგადოებრივ სტატუსს, დამკვეთებთან ურთიერთობას და იმ მეთოდებს, ხერხებსა და მასალებს სწავლობდა, რომლებსაც ოსტატები შენობების დაპროექტების და აგებისას იყენებდნენ. წიგნში თავმოყრილია წერილობითი ცნობები არა მარტო ნაცნობ, არამედ დღემდე უცნობ ხუროთმოძღვართა და კალატოზთა შესახებ.




2012-06-07 ქართველი და უცხოელი მეცნიერები მასალათმცოდნეობის სამეცნიერო მიმართულების სიახლეებს ეცნობიან

საქართველოში საინჟინრო მეცნიერებების განვითარებისა და მადალტექნოლოგიური მასალათმცოდნეობის სფეროში უახლესი კვლევების გაცნობის მიზნით თბილისმა საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა. სამი დღის განმავლობაში ქართველი და უცხოელი მეცნიერები მასალათმცოდნეობის მიმართულებით მსოფლიოში უახლესი ტექნოლოგიების, ნანოტექნოლოგიების, მიღწევებისა და მეთოდების შესახებ მსჯელობდნენ. აღნიშნული საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა. ღონისძიებაში მონაწილეობდა როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკვლევრები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ისრაელიდან, უკრაინიდან, სომხეთიდან და რუსეთიდან.

წიგნი საინტერესოა სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების მკვლევრებისთვის, მათ შორის, ისტორიკოსებისთვის, არქიტექტურის ისტორიკოსებისთვის, არქეოლოგებისთვის და ზოგადად, საქართველოს წარსულითა და ქართული ხუროთმოძღვრებით დაინტერესებული პირებისთვის.

2012-06-14 შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წარმომადგენლებმა ბათუმში საინფორმაციო შეხვედრა გამართეს

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი ბათუმის უნივერსიტეტს ესტუმრა და მეცნიერებს შეხვდა. სულხან სისაურმა და ფონდის წარმომადგენლებმა გრანტის მაძიებელ მკვლევარებს ახლადგამოცხადებულ სახელმწიფო საგრანტო კონკურსებთან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდეს.



2012-06-22 ინოვაციური ტექნოლოგიური კვლევების ხელშეწყობი ახალი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი მეცნიერებაში ბიზნეს-სექტორის აქტიური ჩართვის კუთხით ახალი ინსტრუმენტების ძიებას

განაგრძობს. საქართველოში ინოვაციური ტექნოლოგიური ხასიათის კვლევების განვითარებისა და მათი კომერციალიზაციის მიზნით კიდევ ერთი ახალი მსხვილბიუჯეტის კონკურსის დებულება მომზადდა. შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მრგვალი მაგიდა გაიმართა, სადაც კონკურსის პროექტსა და ძირითად ასპექტებზე იმსჯელეს. პროგრამის შემუშავებაში ფონდის ხელმძღვანელებთან ერთად უმაღლესი სასწავლებლების რექტორები, მეცნიერები, მერიის, ბიზნესის და საქპატენტის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საგრანტო კონკურსის დებულება ტექნოლოგიების ტრანსფერთან დაკავშირებული ყველა დაინტერესებული მხარის რეკომენდაციის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა. კონკურსის მიზანი სამეცნიერო ჯგუფებისა და ბიზნესის დაახლოება და ისეთი კვლევების დაფინანსებაა, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ახალი ან გაუმჯობესებული ტექნოლოგიის შექმნა-დამუშავებას.



2012-06-23 თურქი ქართველების ეთნიკური იდენტობა

ქართველმა და თურქმა მეცნიერებმა თურქი ქართველების ეთნიკური იდენტობის გადარჩენისა და განვითარების გზებზე იმსჯელეს, რომელსაც საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი სულხან სისაური დაესწრო. 40-მდე ქართველმა და

უცხოელმა მკვლევარმა მოხსენებები თურქეთის ქართველთა ისტორიის, მატერიალური და სულიერი ფასეულობების, ტრადიციული კულტურის, ყოფისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგლების შესახებ გააკეთეს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ თურქი მეცნიერები და თურქეთში კულტურის ცენტრების ხელმძღვანელები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა.



2012-06-27 შუა საუკუნეების ქართველი მოღვაწეების შესახებ შეიქმნა სპეციალური ვებ-გვერდი

შუა საუკუნეების ქართველი მოღვაწეების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოძიება ინტერნეტით გახდა შესაძლებელი შესაბამის ვებ-გვერდზე: www.qim.ge, რომელიც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსის ფარგლებში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ბაზაზე შეიქმნა. პორტალზე თავმოყრილია IV–XVIII საუკუნეებში მოღვაწე ქართველი საერო და სასულიერო პირების

შესახებ როგორც სამეცნიერო, ასევე ვიზუალური მასალა. ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს მეფეების, წმინდანების, საეკლესიო პირების, მაშენებლების, მწერლებისა და სხვათა ცხოვრებასა და მოღვაწეობას, საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას, ისტორიული პერსონებისადმი მიძღვნილ სტატიებს. ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ქართული ხუროთმოძღვრების, ჭედურობის, ნაქარგობისა და ხელნაწერების შესახებ.



2012-06-28 ქართველი და უცხოელი მეცნიერები საქართველოს, როგორც უძველესი ევროპული იდენტობის მატარებელი ქვეყნის იმიჯზე მსჯელობენ

საქართველოს, როგორც ევროპული იდენტობის მატარებელი ქვეყნის იმიჯის შექმნა-წარმოჩენას პირველი სამეცნიერო კონფერენცია მიეძღვნა, რომელსაც დაესწრო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი, სულხან სისაური. ქართველი და უცხოელი მკვლევრები ევროპული კულტურის ფორმირებაში ქართული კულტურის როლსა და მნიშვნელობაზე მსჯელობდნენ. ამასთან, აქცენტი ბერძნულ წყაროებზე გაკეთდა, სადაც საქართველოს, როგორც უძველესი ევროპული ქვეყნის ადგილსა და მისიაზეა საუბარი. კონფერენციის ფარგლებში ხაზგასმით აღინიშნა ქართული წყაროების ავტორიტეტი და სამეცნიერო ღირებულება.



2012-06-30 სულხან სისაურმა კონკურსში „ქართული კალიგრაფია“ ფონდის ფავორიტი დააჯილდოვა

ჩატარდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული კონკურსის - „ქართული კალიგრაფია“ მონაწილეთა ნამუშევრების გამოფენა. კონკურსის მიზანი ქართული დამწერლობის, როგორც კულტურული ფენომენის პოპულარიზაცია და საუკუნეების ტრადიციის მქონე ქართული კალიგრაფიული სკოლის აღორძინება იყო. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ ღონისძიებაზე კონკურსის გამარჯვებულები გამოვლინდნენ, რომელზეც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულხან სისაურმა ფონდის ფავორიტი გამოავლინა და დააჯილდოვა. კონკურსის ფავორიტი ნამუშევრები გამოავლინეს აგრეთვე დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილემ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა და სხვა ორგანიზაციებმა.



2012-07-06 ქართველი მეცნიერები ბეტონის ახალი ტექნოლოგიის შექმნაზე მუშაობენ

ქართველი მეცნიერები ნანოტექნოლოგიების გამოყენებით ახალი თაობის ბეტონების ტექნოლოგიების შექმნაზე მუშაობენ. სამეცნიერო კვლევის მიმდინარეობას შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი სულხან სისაური და სასამართლო ექსპეტიზის ეროვნული ბიუროს დირექტორის მოადგილე გაეცნენ.



60-ზე მეტმა უცხოელი ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლაში მონაწილეობდა

2012 წლის ზაფხულის თვეებში 60-ზე მეტმა უცხოელმა შეისწავლა ქართული ენა საქართველოში. პროგრამა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით საგრანტო კონკურსის "ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის" ფარგლებში განხორციელდა. ქართველოლოგიური მეცნიერებებით დაინტერესებულმა უცხოელებმა ადგილზე შეისწავლეს ქართული ენა, გაეცნენ ძველ და თანამედროვე ქართულ კულტურას, ისტორიას, ტრადიციებს, დაათვალიერეს საქართველოს კუთხეები და ღირსშესანიშნაობები. მაღალკვალიფიციურმა მეცნიერებმა თეორიული და პრაქტიკული მედაცინეოზები უცხოელ სტუდენტებს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად ჩაუტარეს. პროექტები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, კროს-კულტურული უნივერსუმის (CCU) ბაზებზე განხორციელდა.



2012-09-29 საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მეცნიერთა ფორუმი

2012 წლის სექტემბერში ბათუმის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში საზღვარგარეთ მოღვაწე თანამემამულე მეცნიერთა ფორუმი გაიმართა. ფორუმში მონაწილეობდნენ როგორც საზღვარგარეთ, ისე საქართველოში მოღვაწე წარმატებული ქართველი მეცნიერები. ფორუმის მიზანი იყო საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული სამეცნიერო პოტენციალის მოზიდვა, მათი გამოცდილებისა და კონტაქტების დახმარებით საქართველოს კვლევითი საქმიანობის განვითარება და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების დასახვა.

უცხოეთში მოღვაწე წარმატებული ქართველი მეცნიერები საქართველოს აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან სამეცნიერო მოხსენებებით წარსდგნენ. სტუმრები გაეცნენ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში განხორციელებულ სიახლეებსა და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე კვლევით საქმიანობას.



2012-12-26 შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა 33 ახალგაზრდა მეცნიერს უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირება დაუფინანსა

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი სულხან სისაური უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირების საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ მეცნიერებს შეხვდა. 33 ახალგაზრდა მეცნიერის სტაჟირება დაფინანსდა საფრანგეთის, გერმანიის, აშშ-ს, ესპანეთის, ჩინეთის, იაპონიის, დანიის, ირლანდიის, იტალიისა და სხვა ქვეყნების წამყვან უნივერსიტეტებში. ახალგაზრდა მკვლევრები მსოფლიოს უმსხვილეს სამეცნიერო ცენტრებში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით გაემგზავრნენ და რამდენიმე თვის განმავლობაში იქ მიმდინარე კვლევით საქმიანობაში ჩაერთვნენ.

სახელმწიფო სამეცნიერო გრანტებით დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მონიტორინგის დეპარტამენტი 2012 წლის მანძილზე ახორციელებდა შემდეგი საგრანტო პროექტების ადმინისტრირებას: ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი, გამოყენებითი კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი, სახელმწიფო გრანტი ერთობლივი კვლევებისათვის უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით, საკონფერენციო გრანტების კონკურსი, ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლა, მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი, ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო საგრანტო კონკურსი, უცხოეთში ახალგაზრდა მეცნიერთა სტაჟირების საგრანტო კონკურსი, ერთობლივი საერთაშორისო პროგრამები და ა. შ.

სამეცნიერო ფონდი ახორციელებდა ზემოაღნიშნული დაფინანსებული პროექტების განხილვას, პერიოდული ფინანსური და პროგრამული ანგარიშების შეფასებასა და შესაბამისი მონიტორინგის აქტების მომზადებას. ფონდის თანამშრომლები ესწრებოდნენ საგრანტო პროექტების ფარგლებში გამართულ კონფერენციებს, სემინარებს, პრეზენტაციებსა და სადემონსტრაციო დღეებს. მიმდინარეობდა პროექტებში განხორციელებული სამეცნიერო მუშაობის ამსახველი სტატისტიკური მასალის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი.

2012 წელს გრძელდებოდა ფონდის მიერ დაფინანსებული შემდეგი პროექტების ადმინისტრირება:

2012 წელს მიმდინარე პროექტები	
საგრანტო კონკურსის სახელწოდება	პროექტების ოდენობა
სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი	116
გამოყენებითი კვლევები	24
ფუნდამენტური კვლევები	35
ელექტრონული ლექსიკონი	1
ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი	1
სამეცნიერო-კვლევითი საზაფხულო სკოლები	4
ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სტაჟირება	33
კონკურსი "ქართული ეროვნული სამოსი"	1
კვლევები სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით	12
საკონფერენციო გრანტები	15
ერთობლივი საერთაშორისო კვლევები	39
საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევა	5

ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის გრანტი	76
პროგრამა „დოქტორანტურის თანახელმძღვანელობა“	3
პროგრამა „ქართული საბავშვო ფოლკლორი“	1
უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევები	23
მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი	151

2012 წელს სამეცნიერო ფონდის მონიტორინგის დეპარტამენტმა ადმინისტრირება გაუწია სულ 540 სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო პროექტს, აქედან 2012 წელს დასრულდა 302 პროექტი.

2012 წელს ფონდის თანამშრომლები სისტემატურად ესწრებოდნენ საგრანტო პროექტების ფარგლებში გამართულ სამეცნიერო კონფერენციებს, სემინარებს, პრეზენტაციებსა და სადემონსტრაციო დღეებს.